ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 345

ქალაქი ქუთაისი 16 დეკემბერი 2024 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ"
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის
№177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის „ე.დ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში, კერძოდ:

1. ამოღებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან №165; №247; №250; №253; №257 პუნქტები.

2. ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №267-№270 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

3. ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის 220-ე პუნქტის გასწვრივ (220. არასასოფლო–სამეურნეო მიწის ნაკვეთი შენობით. ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37. სადგური ქუთაისი II-ის მიმდებარე ტერიტორია, ნაკვეთი №1-1), მე-6 გრაფაში ჩაემატოს ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობა შემდეგი რედაქციით: „512 000.00".

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საქართველო

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
მას. №-
17 -----7------2024 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 16 დეკემბრის
№ 345 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
267	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, №11-ის სამხრეთით	174.00	03.05.22.1005	55.00 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
268	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა, №15-ის მიმდებარედ	24.00	03.05.27.758	55.00 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
269	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, განჯის ქუჩა, I შესახვევი, №44-ის ჩრდილოეთით	100.0	03.06.21.856	130.00 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
270	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი, №85-ის სამხრეთით	267.0	03.05.28.657	55.00 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია